პრესრელიზი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე

30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, ექსპო ჯორჯიაში (მის. წერეთლის გამზირი, N118), კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ჩართული იქნება თბილისის რიგით 21-ე წიგნის საერთაშორისო ფესტივალში. ცენტრი წარმოდგენილი იქნება მე-11 და მე-6 პავილიონებში.

ფესტივალის ფარგლებში, სტუმარს შესაძლებლობა ექნება ცენტრის მიერ გამოცემული წიგნების შეძენა და, ასევე, წიგნის ავტორებთან შეხვედრა. გარდა ამისა, 1 ივნისს, მე-6 პავილიონში, თიბისი ბანკთან ერთად, საზოგადოებას საშუალება ექნება კალიგრაფიული წერის ვორქშოფში მიიღოს მონაწილეობა. აქტივობის ფარგლებში მსურველები თვითონ შეასრულებენ საკუთარი სახელების კალიგრაფიულ ნიმუშებს, გააფორმებენ საზედაო ასოებს (შესრულებულ მხედრულით ან ასომთავრულით), ხოლო კალიგრაფები თავიანთ ნამუშევრებს საჩუქრად გადასცემენ მათ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრს მუდმივად შეაქვს საკუთარი წვლილი ქართული კულტურის განვითარებაში და მონაწილეობას იღებს საგანამანათლებლო თუ კულტურულ ღონისძიებებში. თბილისის საერთაშორისო წიგნის ფესტივალზე წარმოდგენილი წიგნები კი უფრო მეტად დააახლოვებს საზოგადოებას ქართული იდენტობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ნაწილთან - ქართულ ხელნაწერთან

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაბიძე, *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

Tel.: 577 977 199

e-mail: pr@manuscript.ac.ge

web: www.manuscript.ge